ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N26

24.08.2023 წელი *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
13:00 საათი *ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საინვესტიციო პროექტების მართვისა და ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი **ირაკლი გოხელაშვილი**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #№12-032322052-03, 08.08.2023წ.),* **მომხსენებელი - ირაკლი გოხელაშვილი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საინვესტიციო პროექტების მართვისა და ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი.
2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული** საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომა წარიმართა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა ადა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამი ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გათავისუფლების საკითხის განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა წარუდგინა.

ირაკლი გოხელაშვილი - მოგესალმებით, განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეხება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხს. როგორც მოგეხსენებათ 2019 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პირდაპირი განკარგვის ფორმით გლდანის რაიონში 14, 000 ათასი კვადრატული მეტრი უძრავი ქონება გადაეცა, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა აღნიშნულ ტერიტორიაზე ერთი სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედნის და ერთი მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა. საპრივატიზებო პირობის შესრულების თარიღად განსაზღვრული იყო 2020 წლის 31 დეკემბერი. 2022 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი, მშენებლობის ვადების 2022 წლის 30 ივლისამდე გადაწევასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ პროექტში არსებული ხარვეზების გამო ვერ მოხერხდა დროულად ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, ფეხბურთის ფედერაციის მიერ პირობა საბოლოოდ 2023 წლის 7 ივლისს შესრულდა. დღეს წარმოგიდგენთ პირგასამტეხლოსგან პატიების საკითხს, რომლის ფარგლებშიც ერთ დღეზე გათვალისწინებული იყო 100 ლარი, ჯამში აღნიშნულმა თანხამ შეადგინა 34 100 ლარი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, გაგაცნობთ მიმდინარე წლის პროგრამებს და პროექტებს, რომელსაც ვახორციელებთ, შევეხები სირთულეებს და გამოწვევებსაც. დავიწყოთ პროგრამით **„სპორტი უფროსი თაობისთვის"**, მოგეხსენებათ, რომ პროგრამა ამოქმედდა 2022 წლის ოქტომბრის თვიდან, 2023 წელს გაფართოვდა და უფრო დიდი მასშტაბით ამუშავდა. ჩაერთო კერძო სექტორი, რამაც გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა, არსებული ტემპის გათვალისწინებით შემდეგი წლისთვის კიდევ მოგვიწევს რაოდენობის გაზრდა, კერძო სექტორთან მოლაპარაკების საფუძველზე. პირველად განვახორციელეთ **„სპორტული მედიცინის დანერგვის საპილოტე პროგრამა"**, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული სპორტული ცენტრები. პროგრამა განხორციელდა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციასთან ერთად. პროგრამის ფარგლებში კომპლექსური სამედიცინო შემოწმება/სკრინინგი გაიარა 18 წლამდე ასაკის 500-ზე მეტმა ბენეფიციარმა. პროექტის ფარგლებში ჩართული იყო 20-ზე მეტი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ აღნიშნული მიდგომა სამომავლოდ საჭიროებს მასშტაბების გაზრდას, რადგან გამოვლინდა სხვადასხვა დაავადებები და მოხდა ფიზიკური დატვირთვის ინდივიდუალური განსაზღვრა ახალგაზრდებისათვის, პროგრამა ხელს შეუწყობს სპორტში სწორი ფიზიკური დატვირთვის და ჯანმრთელობის კონტროლის მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მიმდინარე წელს, ჩატარდა სხვადასხვა მასშტაბური ფესტივალები, მათ შორის „ურბან სპორტფესტი" პროექტის ფარგლებში გაიმართა ტურნირი 3X3 კალათბურთში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 24-მა სამოყვარულო გუნდმა, საქალაქო სამსახურმა დავსახეთ გეგმა, რომ ყოველწლიურად ხელი შევუწყოთ სამოყვარულო სპორტული აქტივობების ჩატარებას და წავახალისოთ შესაბამისი ორგანიზაციები ინვენტარით, თუ სხვა საჭიროებებით, რათა ახალგაზრდების დრო სპორტულ აქტივობებში გადავიტანოთ. სპორტულ ფედერაციებთან, რაიონულ გამგეობებთან, სპორტულ ა(ა)იპებთან, ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და საქალაქო სამსახურის მიერ დამოუკიდებლად არაერთი მნიშვნელოვანი, მასშტაბური ღონისძიება

ჩატარდა. მოგეხსენებათ, იმისათვის, რომ ჩატარდეს ხარისხიანი სპორტული აქტივობები საჭიროა შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა დედაქალაქში, ამ დროისთვის მიმდინარეობს მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების სამშენებლო სამუშაოები და სპორტული ინვენტარით აღჭურვა დიდ დიღომში და ვარკეთილში, ასევე ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის ეზოში ორი პადელის მოედანი მოეწყობა. რიგი გარემოებებიდან გამომდინარე მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის ვადები გახანგრძლივდა, მაგრამ წელს უკვე დასრულდება და ეტაპობრივად მოხდება მათი გახსნა. ასევე ავღნიშნავ პრობლემებს, დიდი ლილოს სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები შეფერხდა, რადგან სასამართლო დავა მიმდინარეობს მშენებელ კომპანიასთან და მოგვიწევს ახალი სამშენებლო ტენდერის გამოცხადება დავის დასრულების შემდგომ. წელს ვფიქრობთ ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის გახსნას. ვაპირებთ დიღმის მასივში მდებარე ცენტრის ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მოწყობას, წელს მოხდა პროექტის შესყიდვა, შემდგომ დაიწყება არსებული შენობა ნაგებობის დემონტაჟი, რადგან მულტიფუნქციური ცენტრისთვის არსებული ინფრასტრუქტურა არ გამოდგება, ხოლო დემონტაჟის დასრულებისთანავე დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. რაც შეეხება კომპანია ვისოლისგან მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებულ სხვა ქონებას, ეს გახლავთ სოფელ დიღომში სპორტული ცენტრი, რომელიც გადაეცა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ შპს ,,სპორტმშენს", რომელიც განახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლებას და პროფილის შენარჩუნებით ფუნქციონირებას. გუმათ ჰესის ქუჩა N1-ში სამსახურს აქვს შესყიდული პროექტი და მომავალში იგეგმება მცირე სპორტული ცენტრის მოწყობა, ჭიდაობის დარბაზით და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით. მიმდინარეობს ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარე ტერიტორიაზე მოეწყობა სკეიტ-პარკიც. წელს ორი სკეიტ-პარკი გავხსენით დედაქალაქში ვარკეთილში და ავჭალაში. გარდა ამისა ყოველწლიურად მიმდინარეობს გარკვეული სამშენებლო, თუ სარემონტო სამუშაოები მუნიციპალურ სპორტულ ცენტრებში, რომელიც ძირითადად ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობს, ასეთია ტანვარჯიშის ცენტრი, შემდეგი წლისთვის ვფიქრობთ ყინულის დარბაზის რეაბილიტაციას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ პროექტებს, 2023 წელს დაფინანსდა საერთაშორისო ღონისძიებები ESU და Eurodesk-ი, სტუდენტური და თეატრალური ფესტივალები. ასევე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მასშტაბური ღონისძიება. ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა, მათ შორისაა მუდამ მზარდი და აქტუალური პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი" პროგრამა ხორციელდება 2018 წლიდან. მიმდინარე წელს პროგრამაზე დარეგისტრირდა 3008 მოქალაქე. პროგრამის ფარგლებში დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 70%. ყოველწლიურად ვითარდება, იხვეწება და იმატებს პროგრამების რაოდენობა, დიდი მოთხოვნაა შრომითი უსაფრთხოების პროგრამაზე, რომელშიც გვეხმარება ტექნიკური უნივერსიტეტი, ასევე მზარდი მოთხოვნაა ციფრულ პროგრამებზე, წელს თითქმის ყველა იმ ადამიანს ვინც დარეგისტრირდა რესურსების მოძიების ხარჯზე დავუფინანსეთ სწავლის კურსი. მოგეხსენებათ, რომ ,,სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამას" სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე სტუდენტების გარდა დაემატა, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, საქალაქო სამსახური შერჩევის პროცესში არაა ჩართული, ჩვენ სიებს გვაწვდიან უნივერსიტეტები შესაბამისი აკადემიური მოსწრების, რეიტინგის და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. საზაფხულო პროგრამების ფარგლებში დედაქალაქის მასშტაბით და

მიმდებარე ტერიტორიებზე მოხდა სალაშქრო მარშრუტების მოწყობა, ახალგაზრდები ჩაერთნენ სხვადასხვა გასართობ აქტივობებში, როგორიცაა გოლფი, კარტინგი, ჩოგბურთი, ჯომარდობა და სხვა.

რაც შეეხება კულტურის ნაწილს, აქაც არაერთი მნიშვნელოვანი, აქტუალური პროექტი და ღონისძიება დაფინანსდა. საქალაქო სამსახურში არსებობს კომისია, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ხდება სხვადასხვა პროექტის განხილვა და მხარდაჭერა, მათ შორის დაფინანსდა ინკლუზიური ხელოვნების პროექტები, ასევე ეთნიკური უმცირესობის ოჯახებს დაუფინანსდათ სხვადასხვა პროექტები. წელს დაემატა ახალი მიმართულება, ქუჩის ხელოვნება „სთრით არტი", რის ფარგლებშიც გამოცხადდა კონკურსი და მიმდინარეობდა ნამუშევრების მიღება, აღნიშნული მიმართულებით აქტიურადაა ჩართული კერძო სექტორი და მიმდინარეობს ერთობლივი მხარდაჭერა. დაფინანსდა თანამედროვე და კლასიკური მუსიკის, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, კინო და სხვა მიმართულების ფესტივალი, აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ყოველწლიურად ტარდება. მედია ხელოვნების მიმართულებით დაფინანსდა არაერთი პროექტი, სადაც კულტურის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ. ინფრასტრუქტურის მიმართულებით სირთულეები იყო როცა გადმოვიბარეთ კულტურული ობიექტები. ამჟამად მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმის და მერაბ კოსტავას მუზეუმის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს ორი ბიბლიოთეკის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. სხვადასხვა საჭიროებები დაუფინანსდა 16 სახელოვნებო სკოლას, მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ ერთი სახელოვნებო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელოვნებო სკოლებში ფინანსდება 745 მოსწავლე. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 660 მოსწავლეს უფინანსდება სწავლის საფასური. მუზეუმების გაერთიანებამ მიიღო BP-ის გრანტი, 200,0 ათასი დოლარის ოდენობით, რითაც აღიჭურვა ამიერკავკასიაში პირველი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია, მომზადდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის აუდიო გიდი ქართულ და ინგლისურ ენაზე. უახლოეს პერიოდში იგეგმება თბილისის საკრებულოს ტერიტორიაზე თოჯინების მუზეუმის მოწყობა.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ბოჟაძე - მინდა მადლობა გადავუხადო მომხსენებელს და ავღნიშნო ის მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ემსახურება სამედიცინო შემოწმებას, მსგავსი შემოწმება წელიწადში ორჯერ აუცილებელად უნდა გაიაროს სპორტში ჩართულმა ყველა პირმა. წლების განმავლობაში აღნიშნული საკითხი ვერ გვარდებოდა, ახლა მოხდა საპილოტე პროექტის განხორციელება და დარწმუნებული ვარ მასშტაბები მკვეთრად გაიზრდება, აუცილებელია ფედერაციების დაინტერესება და ჩართულობის გარდა, რათა თავიდან ავიცილოთ სავალალო შედეგები და მოხდეს ჯანმრთელობის რისკების პრევენცია. ასევე მინდა შევეხო სოციალური საწარმოების მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც მნიშვნელოვანი ხელისშემწყობი ფაქტორია აღნიშნულ სფეროში ჩართული პირებისთვის.

ირაკლი გვილავა - შემოდგომაზე ისევ გამოცხადდება სოციალური საწარმოების ხელშემწყობი პროექტების მიღება და კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების ხელშეწყობა კვლავ იგეგმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე